„დარწმუნებულნი იყავით, ჩვენ ყოველთვის თქვენთან ვართ“ . ანტიოქიის პატრიარქმა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას მხარდაჭერა გამოუცხადა

2021 წლის 16 ივნისს ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X უმასპინძლა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა უმე-ს საქმეთა მმართველი, ბორისპოლისა და ბროვარსკის მიტროპოლიტი ანტონი. შეხვედრის მსვლელობისას ანტიოქიის პატრიაქმა მხარდამჭერი სიტყვა გადასცა კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტ ონუფრის და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სისავსეს.

„გადეცით უნეტარეს ონუფრის, ჩემს საყვარელ ძმას, მთელი ჩემი სიყვარული და პატივისცემა. ჩვენ ვიცით მისი სიყვარული და პატივისცემა, და თქვენც დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ყოველთვის თქვენთან ვართ“, – განაცხადა უნეტარესმა პატრიარქმა იოანე X.

ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებში უმე-ს წარმომადგენლობის მეთაურმა, ბარიშევსკის ეპისკოპსმა ვიქტორმა განაცხადა, რომ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთათვის ეს მხარდაჭერი სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია, „რამეთუ ფანარის „პარტნიორებისგან“ სხვა ადგილობრივ ეკლესიებზე დიდი ზეწოლის პირობებში, პატრიარქ იოანეს მხარდაჭერა გამოიყურება როგორც აღმსარებლობის ერთგვარი აქტი“.

„დღეს პატრიარქი ამბობდა იმას, რასც მას გული კანახობდა, – ნათქვამია ჩანაწერში, რომელიც ეპისკოპოსმა ვიქტორმა თავის ტელეგრამ-არხზე განათავსა, – ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მისი უნეტარესობის ეს სიტყვები კიდევ არაერთხელ გაისმება სხვადასხვა ტრიბუნიდან. გულწრფელად ვუსურვებთ ცხოვრების მრავალ და კურთხეულ წელს ანტიოქიის ეკლესიის წინამძღვარს. ჩვენ მდაბლად ვლოცულობთ, რათა უფალი შეეწიოს მას და განამტკიცოს თავის პოზიციაში, რამეთუ ვიცით, რომ მხოლოდ ის გადარჩება, ვინც ბოლომდე დაითმენს!“.

მასალა მომზადებულია
უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილებისა და
მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის საიტის ცნობების მიხედვით

გაზიარება:

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87459/